



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 1**

ქ. ლანჩხუთი

18. 01. 2017 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე, ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი. გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია. გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: რ. ბიწამე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: რ. ბიწამე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: რ. ბიწამე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.ფაცურია/

7.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.ფაცურია/

8.ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.ფაცურია/

9.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. სხვადასხვა:

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 27 იანვარი, 11 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 12 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება უფასო სასადილოში. პროგრამით ისარგებლებს 98 ბენეფიციარი;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც გააუმჯობესებს დემოგრაფიულ მდომარეობას. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 29 ოჯახი.
3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება, ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 33 ბენეფიციარი.
4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა - იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე).
6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ „იავნანაში“ დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის გადასახადები, ასევე დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.
7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი.
8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად საშეშე მერქნის შესამენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 64 ოჯახი.
9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება.
10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში.
11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადად დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ 4 ხანდაზმულია.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა-სოციალურ პაკეტს დაემატა თუ არა ახალი პროგრამები და როგორია მათი გაცემის წესი.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ გასული წლის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებს დაემატა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ თანხა არ უფინანსდება ან უფინანსდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%-ი - არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე ბენეფიციართათვის, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი სტაციონალურ-ამბოლატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები, მათ შორის C-ჰეპატიტით დაავადებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად, მკურნალობის პრაქტიკის განსაზღვრისათვის, სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვრება 50%-ით-არაუმეტეს 500 ლარისა. ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს განცხადება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა და კალკულაცია, განმცხადებლის, პაციენტის პირადობის მოწმობის ასლები, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ცნობა ჯამრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა ასი), ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე გარკვეული სამედიცინო მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსებას 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარს, უმჯობესია გაიზარდოს და შეადგინოს 700 ლარი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ როცა სოციალური პროგრამების დაფინანსებაზეა საუბარი, ქვეყნის ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე აქცენტი უნდა გაკეთდეს სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებზე, (რომელიც მთავრობის უშუალო რეკომენდაციაა). ამის შემდგომ, თუკი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ექნება საშუალება ნებისმიერ მოქალაქეს დაეხმაროს, (რაც მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა) ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება, ამიტომ მიზანშეწონილია სოციალურ პროგრამებში

განსაზღვროს ქულები, რადგან პირველ ყოვლისა დახმარება გაეწიოთ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ მოქალაქეებს.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ყველა მოქმედ ფრაქციას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ინიციატივით მიმართა საკრებულოს ფრაქციამ „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და კონკრეტული პროექტი წარუდგინა მათ, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის (არასაპენსიო ასაკის კონტიგენტი, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 -დან 101 000 -ს,) ენდოპროტეზირების ოპერაციის თანადაფინანსებას. ასევე ინიციატივის მეორე პუნქტი ეხება გეგმიურ ოპერაციებს, რომელსაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ამ კატეგორიის მოქალაქეებს უფინანსებს მხოლოდ 70%-ით. 30%-ის დაფინანსება კი აღნიშნული პროგრამით იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული წარმოდგენილი სარეიტინგო ქულების მქონე ადამიანებს არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ ისინი უსათუოდ საჭიროებენ სოციალურად შეჭირვებულის სტატუსის მინიჭებას, რის შემდეგაც აღნიშნული პროგრამა უფრო ეფექტური გახდება, ვინაიდან იმთავითვე განსაზღვრული იქნება კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, რომელთა მომსახურება უფრო ხელეწიფება მუნიციპალიტეტს და გამგეობის შესაბამის სამსახურს. მისი მოსაზრებით, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ წარმოდგენილი პროგრამა არის ძალიან ბუნდოვანი, რომელიც კითხვით ნიშნებს ბადებს- მუნიციპალიტეტი გაუწევს თუ არა რეალურად დახმარებას ასეთ პაციენტებს, რადგან ძალიან ცუდია ამდენი ქვეპროგრამის ერთ საერთო ყულაბაში არსებობა რაიმე განსაზღვრული ლიმიტის გარეშე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, რომ ახალი მოწვევის საკრებულოს გასული წლის მსგავსად მიმართავს თუ არა დაფინანსების გაზრდის თაობაზე გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. მისი თქმით, გასულ წელს არ ჰქონდა აღნიშნულ სამსახურს სოციალური დახმარების გაცემისთვის საჭირო თანხები, რის შემდეგაც მოხდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სოციალური დახმარების მუხლში ცვლილებების შეტანა და დაფინანსების გაზრდა. დეპუტატის აზრით, რა გარანტია აქვს მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ ახალი მოწვევის საკრებულო ისევ დაუმტკიცებს ბიუჯეტში მსგავს ცვლილებებს.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ წინასწარ ძნელია პროგნოზირება, თუ რა რაოდენობის განცხადებები იქნება მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი ოპერაციების დაფინანსების თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ხელისუფლება კვლავ გააგრძელებს იმ მავნე პრაქტიკას, რასაც გასულ წლებში ეწეოდა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების არარსებული მუხლის

საფუძველზე გასცემს სოციალურ დახმარებებს და ფაქტის წინაშე აყენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომ ბიუჯეტში რაიმე ცვლილებები დაამტკიცოს.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ წარმოდგენილ პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხები თუ წლის ბოლომდე იქნება საკმარისი მოქალაქეებისთვის, რომლებზეც უნდა გაიცეს შესაბამისი დახმარება, მაშინ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური რასაკვირველია დაფინანსების გაზრდის წინადადებით არ შემოვა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მაგრამ თუ დადგება იმის საჭიროება, რომ მოქალაქეების მხრიდან იქნება უფრო მეტი აქტიური მომართვიანობა დახმარების მიღების თაობაზე და ეს მოთხოვნები შესაბამისი დოკუმენტაციით იქნება დასაბუთებული, მაშინ სამსახურმა უარი მოქალაქეებს რის საფუძველზე უნდა უთხრას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, როცა ბიუჯეტში არ იქნება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა დახმარების გაცემა როგორ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა, რაც გასულ წელს მოხდა, კერძოდ გაიცა დახმარებები იმ ფონზე, როცა ბიუჯეტში შესამაბისი მუხლს ფინანსური უზრუნველყოფა არ ჰქონდა, ხოლო ამის შემდგომ მოხდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ გასულ წელს იყო საპარლამენტო არჩევნები და აღნიშნული საკითხი ამ გარემოების გათვალისწინებით მოხდა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, რომ მიმდინარე წელს არის ადგილობრივი თვითმართვებლობის არჩევნები და მსგავსი მავნე პრაქტიკა მიმდინარე წელსაც უნდა განხორციელდეს თუ არა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები კანონის შესაბამისად არ განხილულა და არც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა არ ჩატარებულა. ასევე საარჩევნო კამპანიის პერიოდში არცერთ მოქალაქეს დახმარება არ მიუღია.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ**, აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემის წესი შეიცვალა და მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე აღარ ხდება დახმარების გაცემა, ეს ფუნქცია მთლიანად გადაეცა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს. მისი თქმით ეს დაუშვებელია, რასაც ბიუროს წევრებიც დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემისას, შუამდგომლობა უნდა განახორციელოს მაჟორიტარმა დეპუტატმა. მან მიმართა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს თამარ ფირცხალაიშვილს, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე საკითხი შესწორებული სახით იყოს წარმოდგენილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს დეპუტატი, როგორც მაჟორიტარი ასევე პროპორციული წესით არჩეული უნდა სარგებლობდეს თანაბარი სტატუსით. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარების გაცემის შუამდგომლობის უფლება უნდა ჰქონდეს საკრებულოს ყველა დეპუტატს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების სოციალურ-კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა;
- ე) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- ვ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ზ) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- თ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ი) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამიდან ხდება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის შუადგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიუროს წევრები მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძემ, ასევე საკრებულოს წევრმა ელისო ჭიჭინაძემ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების,

კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი გახდა წარმოდგენილ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ როცა მოხდა საკრებულოს კომისიებში, წევრთა კვოტირების საკითხი საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დატოვება მოუხდა რამოდენიმე დეპუტატს, რადგან ერთ კომისიაში საკრებულოს ფრაქციის ყველა წევრის გაერთიანება შეიზღუდა. ამის შემდგომ აღმოჩნდა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობაში ერთი ფრაქციის სამი წევრი კვლავ რჩება გაერთიანებული. იგი დაინტერესდა ეს შეზღუდვა მხოლოდ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას შეეხო თუ არა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ რაიმე კვოტირების წესი საკრებულოს ამ საკითხთან მიმართებაში არ დაუდგენია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ფრაქცია შეიქმნა მოგვიანებით და ეს დეპუტატები არ იყვენ გაერთიანებულნი ფრაქციაში. რაც შეეხება კომისიის დატოვებას, დეპუტატები არავინ აიძულა თავისი ნების საწინააღმდეგოდ დაეტოვებინათ საკრებულოს რომელიმე კომისია.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური

მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძემ გამოთქვა სურვილი გაწევრიანდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი გახდა წარმოდგენილ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინააღმდეგები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი

ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ პროექტი თავისი შინაარსით საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომელმაც უნდა განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკომიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები, რომლის შემუშავებაშიც არასამთავრობო სექტორიც აქტიურად იყო ჩართული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ აღნიშნა, ეკომიგრანტების თემასთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჯერ კიდევ ადრე სახალხო დამცველის თხოვნით დაიწყო აქტიური მუშაობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოდგენილ დოკუმენტში საგულისხმოა უსახლკარო ადამიანებისთვის თავშესაფრის საკითხი. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქირავნობის პროგრამა, სადაც დაახლოებით 37 ბენეფიციარს მუნიციპალიტეტი უფინანსებს ბინის ქირის საფასურს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს გამოინახოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა , რომელშიც მოხდება თავშესაფრის არმქონე მოქალაქეებს შესახლება. აღნიშნულმა სამსახურმა წარმოადგინა ორი ალტერნატიული შენობა-ნაგებობა, რომლებშიც შესაძლოა განთავსდეს თავშესაფარი, ესენია ყოფილი ინტერნატის შენობა და ყოფილი 83-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ , „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ მოგახსენებთ, რომ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე 5-ე მუხლში შევიდა ცვლილება („სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე N99; 2016 წლის 16 დეკემბერი) და განისაზღვრა ახალი

განაკვეთები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი პირებისათვის. ზემოაღნიშნული ცვლილება მოითხოვს „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება„ N34-ის მე 5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს კანონთან შესაბამისობაში. სამსახურმა შეიმუშავა და მიზანშეწონილად მიაჩნია სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით.

ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 (ორასომოცდაათი ათასი) ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %.

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საუბარია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განაკვეთებზე, რომლებიც არ შეცვლილა. იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა). ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 9.12 ლარს.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 3.12 ლარს.

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

დ) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ.

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5-ჯერ

დ) იმ აქტივებზე რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნება ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების ღირებულების 2 პროცენტი

100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:

- 1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული)-20 ლარი/ჰა
- 2) სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)- 16 ლარი/ჰა
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბადე, საბოსტნე)-73 ლარი/ჰა
- 4) საკარმიდამო-73 ლარი/ჰა
- 5) სათიბი- 20 ლარი/ჰა
- 6) სამოვარი- 16 ლარი/ჰა
- 7) სახნავი- 73 ლარი/ჰა

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსები (მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი, რომელმაც ერთ ჰექტარზე შეადგინა -3 ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვრა შემდეგი ოდენობით ლარებში:

- 1)ქ.ლანჩხუთი- (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.24 ლარი
- 2)ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.216 ლარი

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებას ექვემდებარება:

საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ.-ს

ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ.-ს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გაცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ განხილული იქნა სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი 2016 წლის 14 ნოემბრის N1308 წერილი, რომელიც ეხებოდა ანალიტიკური პროგრამით აღჭურვილი ვიდეო კამერებით განთავსების დაფინანსების საკითხს - 49000 ლარის ოდენობით. განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს 30000 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით გაიზარდოს ვალდებულებების კლება 32375 ლარით, ხოლო აღნიშნულის ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმართოს 2017 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთი, ასევე განმეორებით განხილული იქნეს 2016 წლის 8 დეკემბრის N01/3730 წერილი მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა არის თუ არა რაიმე ცვლილება ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის სახელფასო ფონდის მატებასთან დაკავშირებით.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებას სახელფასო ფონდის (საუბარია მე-13 თვის ხელფასზე) გაზრდა არ არის გათვალისწინებული, აღნიშნულის განხორციელებისთვის არის მხოლოდ ერთი მიმართულება, რომ არსებულ ბიუჯეტში გამოინახოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა, საიდანაც მოხდება მე-13 თვის ხელფასის გაცემა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შიდა ხარჯების შემცირების, ეკონომიის ხარჯზე მოხდეს ბიუჯეტში სახელფასო ფონდის 13 თვეზე გაზრდა, როგორც ეს

ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში იყო წარმოდგენილი, რა თქმა უნდა ბიუროს წევრების მხრიდან ამ საკითხის მხარდაჭერა თუ მოხდება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**, აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა აღნიშნულ საკითხს ბიუროს წევრების მხრიდან მხარდაჭერა ექნება, ვინაიდან ფრაქციის სხდომაზე მოხდა შეთანხმება, ბიუჯეტში სახელფასო ფონდი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 13 თვეზე. მოხდა ისე, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები საშობაოდ მე-13 თვის ხელფასის მოლოდინის რეჟიმში დარჩა (აღსანიშნავია მე-13 თვის ხელფასის გაცემა ყველა მუნიციპალიტეტში მოხდა) რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებასთან აღნიშნული საკითხის დამატება და ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს როლანდ ლაშხიას საკრებულოს ბიუროს მიერ დაევალა მიმდინარე საკრებულოს სხდომამდე წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.


სხვადასხვა:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას წერილობით მიმართა დეპუტატებმა: აკაკი იმნაიშვილმა, ომარ გოგიჩაიშვილმა და ნიკო იმნაძემ, რომლებმაც საკრებულოში დააფუძნეს ახალი ფრაქცია სახელწოდებით „ლანჩხუთი უკეთესი მომავლისათვის“. ასევე მან აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად (რომელიც ეხება დასახლებული პუნქტის საზღვრების შეცვლას) აუცილებელი გახდა საკრებულოს რეგლამენტის ერთ პუნქტში შევიდეს ცვლილება და საკითხზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ შენობის სახურავს ესაჭიროება სასწრაფო შეკეთება, რაც მან არაერთხელ გააჟღერა საკრებულოს და ბიუროს სხდომებზე, მიუხედავად ამისა სამუშაოები დღემდე არ ჩატარებულა. ასევე მან აღნიშნა რომ სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ახალასოფელში „მელიორაცია“ საყანე ფართობებში ასრულებს დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოს, რომელიც ბოლომდე არ არის დასრულებული. გადასახადის ამოღებას კი მუნიციპალიტეტის დახმარებით ცდილობს. მისი მოსაზრებით გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს სამუშაოს დასრულების შემდეგ, ხოლო გადასახადის ამოღება უნდა განხორციელდეს საკუთარი რესურსით. მან თხოვნით მიმართა გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს იქნებ მოხდეს მელიორაციაში წერილის გაგზავნა, რათა ეს საკითხი დადებითად მოგვარდეს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს ბიურო